

კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნის შესაძლებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს და განსაზღვრავს იმ პროცედურებს, რომელთა შესაბამისად შესაძლებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია (2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების აკრედიტაციის დებულება). დღეს საქართველოში აკრედიტებული 16 პროგრამიდან ერთი სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის პროგრამაა, რომელიც კლასის მართვას ეხება. პროგრამების აკრედიტაციის აუცილებელი პირობაა, რომ მომზადებული პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. აკრედიტებულ პროგრამებში მასწავლებლების მონაწილეობის მოტივაცია მაღალია, რადგან სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის აუცილებელია კრედიტების მოგროვება აკრედიტებულ ტრენინგებში მონაწილეობით.

შესაბამისად, მედიაწიგნიერების ტრენინგ-მოდული მასწავლებლებისთვის და ამ ტრენინგ-მოდულის აკრედიტაცია შექმნის რესურსს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი გამჭოლი კომპეტენციის - მედიაწიგნიერების - რეალურად დასაწერგად როგორც მასწავლებლებს, ასევე - მოსწავლეებს შორის.

ბ) მიზანი

პროექტის მიზანია სკოლებში მედიაწიგნიერების კულტურის დასაწერგად საჭირო რესურსების შექმნა.

გ) ამოცანები

პროექტის ამოცანებია:

1. მედიაწიგნიერების დონის ასამაღლებელი - კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი - ტრენინგმოდულის შექმნა;
2. მედიაწიგნიერების საგანმანათლებლო მასალების შექმნა;
3. ტრენინგმოდულის ინსტიტუციონალიზაცია.

დ) განხორციელების გზები

პროექტის განხორციელების გზები ამოცანების მიხედვით შემდეგია.

პირველი ამოცანა:

- დამუშავდება თეორიული მასალა ტრენინგ-მოდულის შესაქმნელად; სხვა მასალასთან ერთად, ტრენინგმოდულის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების თეორიული ნაწილის მომზადებას საფუძვლად დაედება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის პუბლიკაციები: „კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. წარმოსახვითი განათლება“ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2012 ISBN 978-9941-0-4696-4; „მოაზროვნის სახელმძღვანელო“, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2013, ISBN 978-9941-0-5317-7;
- შემუშავდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი სპეციალური სავარჯიშოები საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების გამოყენებით;
- ტრენინგის სამუშაო მასალის ერთი ნაწილი მედიაპროდუქტებს დაეყრდნობა. შესაბამისად, მოგროვდება და დამუშავდება ქართველი და უცხოელი ჟურნალისტების სატელევიზიო, რადიო და საგაზეთო ინტერვიუები, სტატიები, სიუჟეტები, რეპორტაჟები;
- მომზადდება პრაქტიკული სავარჯიშოები მხატვრულ/დოკუმენტურ ფილმებზე დაყრდნობით;
- საბოლოოდ, შეიქმნება 9 დღიანი (ევროპული საგანმანათლებლო სისტემით - 3 კრედიტი) ტრენინგ-მოდული, რომელიც მოიცავს 45 საკონტაქტო და 30 არასაკონტაქტო სამუშაო საათს.
- ტრენინგ-პროგრამის მომზადებასა და საგანმანათლებლო მასალების შერჩევაში იმუშავებს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნება ორი მედიის სპეციალისტი და ორი - განათლების სპეციალისტი. სამომავლოდ ეს ჯგუფი გაიყოფა ორ ნაწილად (ერთი მედიის სპეციალისტი + ერთი განათლების სპეციალისტი) და თითოეული ჯგუფი დამოუკიდებლად ჩაატარებს მედიაწიგნიერების ტრენინგებს მასწავლებლებთან.
- მასწავლებლების 15 წევრიან ჯგუფს ჩაუტარდება 9 დღიანი საპილოტე ტრენინგი, სადაც გამოიცდება როგორც თეორიული მასალა, ასევე - პრაქტიკული სავარჯიშოები. საპილოტე ტრენინგზე მასწავლებლებთან იმუშავებს პროექტის სამუშაო ჯგუფი - ორი განათლების სპეციალისტი და ორი მედიის სპეციალისტი.

ინფორმაცია მედიაწიგნიერების ტრენინგ-პროგრამის შესახებ:

მომზადდება ტრენინგ-პროგრამა, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში ¹ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა იქნება მასწავლებლის სერტიფიცირება (ანუ ტრენინგზე მხოლოდ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს მოვიწვევთ). ეს გაზრდის პროგრამის ეფექტიანობას, რადგან სერტიფიცირებული მასწავლებლების მოტივაცია პროფესიული განვითარებისთვის მაღალია (მათთვის სავალდებულოა გარკვეული რაოდენობის კრედიტების მოგროვება ყოველწლიურად).

ტრენინგ-პროგრამაში ასახული იქნება სკოლაზე გავლენის ბერკეტები - ანუ გაკვეთილზე მედიაწიგნიერების, როგორც გამჭოლი კომპეტენციის, დანერგვის კონკრეტული გზები.

მეორე ამოცანა

- მოგროვდება და ითარგმნება კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერების შესახებ უცხოური ანიმაციური და ვიდეოკლიპები;
- მომზადდება და გამოიცემა 300 გვერდიანი წიგნი მედიაწიგნიერების შესახებ, რომელშიც შევა უცხოელი ავტორების საუკეთესო ნაშრომები და შესაბამისი წიგნებიდან ფრაგმენტები.

მესამე ამოცანა

- სამკრედიტიანი ტრენინგ-მოდული „მედიაწიგნიერება“ აკრედიტაციის მისაღებად წარედგინება ხარისხის მართვის ეროვნულ ცენტრს.

¹ http://tpdc.ge/images/stories/pdf/tpdcakred_geo.pdf